

K 38.989
2

ԵՂԻՄԻԱՆ
ԵՎԵՆԻՍԵՐԻ
ԵՎԵՆԻՍԵՐԻ



«ԱՄԵՐԻԿԱՆ»

ქართული სკოლა

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი



წიგნი
მეგობარი
მეგობარი
მეგობარი



«საქართველოს» თბილისი • 1971

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

სკეპ-2000
 შპოფეპულია

„ზარმაცი თაგუნას ამბავი“ ერლომ ანვლედიანის პირველი საბავშვო წიგნია. ვინც გულისყურით წაიკითხავს და ჩაუფიქრდება ამ პატარა მოთხრობებს: „მელა და ტყუილი“, „თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა“, „უნიჭო ობობა“, „ზარმაცი თაგუნას ამბავი“ და „მელა მასწავლებელი“, უთუოდ გაიგებს, რატომ ვერ გაფრინდა ლამაზ მინდორზე თეთრი ყვავილი, რა მოუტანა სიზარმაცემ ერთ თაგუნას ან როგორ მოატყუა ტყუილმა მელამ...



მელია და ტყუილი

იყო დრო, როდესაც ისიც კი ჩანდა, რაც ახლა არა ჩანს. ტყუილსა და სიმართლეს, ავსა და კარგს, ერთგულებას და ორგულობას ისევე ხედავდი, როგორც ციყვსა და თხას, აქლემსა და მიხაკს, თევზსა და მერცხალს.

მარცხნივ წახვიდოდი და დაინახავდი სიმართლის ყვავილს, მოსწყვეტილი, გულთან დაიბნევიდი და შენც იცოდი და სხვებიც ხედავდნენ, თუ რა მართალი კაცი

იყავი. მარჯვნივ გაუხვევდი და ტყუილი სოროში ჩა-
ქვრომას ლამობდა. თუ მოისურვებდი, დაიჭერდი,
უბეში ჩაისვამდი და ისეთ ტყუილს გათქმევინებდა
უბეში ჩასმული ტყუილი, რომ თვითონაც გიკვირდა,
რა მატყუარა ვყოფილვარო. იმ დროში მეღიაზე პატი-
ოსანი და კეთილი ქვეყნად არავინ დადიოდა. მან ისე
გათქვა თავი თავისი სიმართლით (მეღიას ამისათვის
ყვავილების კრეფაც არ სჭირდებოდა), რომ ტყის
ცხოველები, ცის ფრინველები და თვით ადამიანებიც,
პატიოსანი და მართალიაო, ამის ნაცვლად ასე ამბობ-
დნენ: ნამდვილი მეღიაა დათვი ე. ი. ნამდვილად პატი-
ოსანია დათვიო; ანდა ამ სიბერის ხანს რა მოუვიდა ში-
ოს, რომ ასე გამეღიავდაო, ე. ი. ამ სიბერის ხანს
რა მოუვიდა შიოს, ასეთი გულისხმიერი რომ გახ-
დაო.

მეღია სასეირნოდ როდესაც გამოვიდოდა, ტყის
ნადირნი და ცის ფრინველნი სულ გარშემო ეხვეოდ-
ნენ და ეკითხებოდნენ, ზოგი რას და ზოგი რას. დათვს
აინტერესებდა: რომელი უფრო მეტი სიმართლეა, ის
რომ მე დათვი ვარო, თუ ის რომ ყაყაჩო ყაყაჩო არი-
სო? მეღია უპასუხებდა: ის რომ შენ უფრო დათვი ხარ,
ზოლო ყაყაჩო უფრო ყაყაჩო არისო. ღორი ეკითხებო-
და: რა რჯის წვიმას, რომ მოდისო? მეღია უპასუხებ-
და: ბუღისაგან გამტვერილ ჰაერსაც უნდა სუფთა რომ

იყოს და ტანს იბანსო. ღორი დაირცხვენდა უსუფთა-
ოდ რომ დადიოდა და წითლდებოდა...

ერთხელაც დადგა ღამე. ტყეს ღრმა ძილით ეძინა. ისეთი ღრმა ძილით ეძინა, რომ იმ სიღრმეში ყველაზე ცბიერ ტყუილსაც გაუჭირდებოდა ჩასვლა. მაგრამ ტყუილი ისეთია, რომ მაინც ჩაჭიდა. სულ ტყუილი სიზმრები ასიზმრა მგელსა და ლომს, თავესა და კურდღელს, მუხას და ყვავს, იას და შველს. ლომს ესიზმრა, რომ კურდღელი შესაჭმელად დასდევდა და ცივ ოფლს ასხამდა. ვარდს ესიზმრა, რომ მასზე ბულბულის ნაცვლად შავი ყორანი იჯდა და ავად ჩხაოდა. თავეს ესიზმრა, რომ კატა იყო და თავის ძმა თავეებს დასდევდა დასაჭერად. თავად ტყეს კი ესიზმრა, რომ უდაბნო იყო—მწყურვალე და უსულო.

ამოვიდა მზე. ტყემ ღრმა ძილისაგან გაიღვიძა. ყველამ გაახილა თვალი და რა დაინახეს ცბიერი ტყუილი, რომელმაც ასეთი ავი სიზმრები ასიზმრა მათ, დაედევნენ მოსაკლავად...

ამ დროს მელია სიმართლის გზით მიდიოდა სიმართლის ბაღისაკენ, სიმართლის ყვავილების მოსარწყავად. წინ ტყუილი შემოეჩხება.

— საით გაგიწევია, ტყუილო? — ჰკითხა მელიამ.

— სიმართლის ბაღისაკენ,—მოიტყუილა ტყუილმა, — ჩემი ცოდვები უნდა მოვინანიო.



— მეც სწორედ იქით მივდივარ, ერთად წავიდეთ, — უთხრა მელიამ.

— მე იმ ბაღში ვინ შემიშვებს, თუ სადმე არ დამალე, — თავი მოიკატუნა ტყუილმა.

— მე რომ ტანსაცმელი არ მაცვია? — შეწუხდა მელია.

— შენში დავიმალები, — უთხრა ტყუილმა, — როცა სიმართლის ბაღში შევალთ, მაშინ გამომიშვი.

— კარგი, — უთხრა მელიამ და პირი დააღო.

ტყუილი პირში ჩაუხტა მელიას, ხითხით-ხითხითით ჩაირბინა მელიას გრძელი ყელი, გულში გაუარა და კუდში მოიკალათა.

ამ დროს ტყიდან გამოცვივდნენ ტყის ცხოველები და ცის ფრინველები. შემოეხვივნენ მელიას და ჰკითხეს:

— მელავ ჩვენო, ტყუილი ხომ არ დაგინახავს სადმე, წუხელ სულ ტყუილი სიზმრები გვასიზმრა და ახლა უნდა მოგვკლათ და საბოლოოდ მოვისვენოთ.

მელიას უნდოდა მართალი ეთქვა — მე გადავწყაპეო, მაგრამ ცბიერმა ტყუილმა ათქმევინა — იქით წავიდაო. ყველამ დაუჯერა მელიას და „იქით“ წავიდნენ.

ასე მოატყუილა ტყუილმა მელია. ასე გაუტეხა მას სახელი. უნდა რომ თქვას სიმართლე, მაგრამ ველარ ამბობს.

ხანდახან ახლაც აგონდება საბრალო მელიას, რომ
ოდესლაც მართალი კაცი იყო (ეს მაშინ, როცა ტყუი-
ლი წამით მიიძინებს მასში), აგონდება როგორ უყ-
ვარდა ყველას და როგორ სჯეროდათ მისი ტყის ცხო-
ველებს და ცის ფრინველებს. აგონდება და სურს
ცხვირი დააცემინოს, იქნებ ამით მაინც მოიშოროს ის
ოხერი ტყუილი, მაგრამ ტყუილმა თბილი ადგილი მო-
ნახა, თავისთვის ამბობს — მაინც მელიას აბრალებენ
ყველაფერს, ასეთ ადგილს მეორედ ველარ ვიშოვიო—
და არ გამოდის. მელიას კი ცხრაპირ ტყავს აძრობენ
ტყუილისათვის.





თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა

ლობესთან, მაღალ ღეროზე, გაიშალა თეთრი ლამა-
ზი ყვავილი...

თეთრმა პეპელამ მაშინვე შეამჩნია სუთრი ყვავი-
ლი და გაეშურა მისკენ, რამდენჯერმე შემოუფრინა
და იქვე ლობეზე დაჯდა.

— მოდი, გავფრინდეთ ერთად, — შესთავაზა პე-
პელამ ყვავილს.

— მე ფრენა არ ვიცი, — უპასუხა თეთრმა ყვა-
ვილმა.

— როგორ თუ არ იცი, ჩვენ ხომ ძალზე ვგავართ
ერთმანეთს.

— ჰო, ჰო, ვგავართ ერთმანეთს... მაგრამ მე რატომღაც ფრენა არ შემიძლია.

— ეგ შეუძლებელია. შენ ცდები. წამოდი, წამოდი, ახლავე გავფრინდეთ.

— მე მართლა არასოდეს არ გავფრენილვარ.

— მაშ, სულ მუდამ ერთ ადგილას ხარ?

— ჰო, ჰო...

— სტუმრად არასოდეს ყოფილხარ?

— არასოდეს. მე მიწაზე ღეროთი ვარ მიბმული.

— სისულელეს ნუ ამბობ. ნეტა რაში გჭირდება ეგ ღერო. შენ ოღონდ სცადე აფრენა და ნახავ, რა ადვილია.

— ჩემთვის არ შეიძლება...

— დამიჯერე, დამიჯერე... ერთად გავფრინდეთ... ერთ ლამაზ მინდორზე წაგიყვან.


— იმ ლამაზ მინდორზე მარტო ვაფრინდი, მერე კვლავ ჩემთან მოფრინდი და მომიყევი, რასაც ნახავ...

— ო, არა, არა... შენ მხოლოდ სცადე აფრენა, ნახავ რა ადვილია.

თეთრმა ყვავილმა სცადა გაფრენა, მოსწყდა ღეროს და იქვე დაეცა.

პეპელამ რამდენჯერმე შემოუფრინა ყვავილს.

„მართლა არ სცოდნია ფრენა,“—გაიფიქრა თეთრმა პეპელამ, ღობეს გადაუფრინა და თვალს მიეთვარა.



უნიკო ობობა

აგურსა და აგურს შორის რომ ერთი ხვრელია, ცხოვრობდნენ დედა ობობა და მამა ობობა. მათ სამი შვილი ჰყავდათ და სამივენი პატარა ობობები იყვნენ.

როცა პატარა ობობები წამოიზარდნენ, მშობლებმა ისინი ცნობილ ობობა ფეიქარს მიაბარეს ხელობის შესასწავლად. აბა ობობა რისი ობობაა, თუ მან აბლაბუდას ქსოვა არ იცის?!

ობობა ფეიქარი დიდ სარდაფში ცხოვრობდა. მთელი სარდაფის კუთხეები, კედლები და ჭერი მისი და მისი შეგირდების ნახელავით იყო მოქარგული.

ორმა პატარა ობობამ უცებ ისწავლა ქსოვა. მესამე კი უნიჭო გამოდგა — თუმც ბევრი ეცადა, ვერ იქნა და ვერ დაეუფლა ამ ხელობას. ბოლოს მობეზრდა და სარდაფში იწყო სეირნობა.

უცებ ბზუილი შემოესმა. ახლო როცა მივიდა, დაინახა, რომ აბლაბუდაში ბუზი გახლართულიყო. ობობამ გაკვირვებული ჰკითხა ბუზს — როგორ ბზუიხარო.

ბუზისათვის მეტად მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა და წამით შეწყვიტა ბზუილი. შემდეგ უპასუხა — გამანთავისუფლე და გასწავლი ბზუილსაო.

ობობამ იმ წამსვე გაანთავისუფლა ბუზი და ბუზმაც მაშინვე შეუსრულა დანაპირები — ასწავლა ბზუილი.

იმ დღის შემდეგ პატარა ობობა, სადაც კი აბლაბუდას ნახავდა, შიგ ჩაჯდებოდა და ბზუოდა. ყოველი მხრიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ დიდი ობობები. ისინი თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც მსხვერპლის ნაცვლად პატარა ობობა შერჩებოდათ ზოლმე ხელში და გაწბილებულნი და გაგულისებულნი ბრუნდებოდნენ შინ.





ზარმაცის თაგუნას ამბავი

გათენდა.

თაგუნამ გაიღვიძა, გაიზმორა და დაიწყო ოცნება:

— ახლა ავღებ, ხელ-პირს დავიბან, ვისაუზმებ და სანადიროდ მოვემზადები...

თაგუნა მეორე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— სანადიროდ მოვემზადები, ხვრელიდან თავს ამოვყოფ და მივიხედ-მოვიხედავ...

თაგუნა მესამე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— მივიხედ-მოვიხედავ. ხვრელიდან გამოვალ და ნულო
პირდაპირ და უშიშრად გავწევ საკუჭნაოსაკენ.

თაგუნა მეოთხე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრ-
ძო ოცნება:

— გავწევ საკუჭნაოსაკენ და ხაფანგს დავინახავ.
თაგუნა მეხუთე გვერდზე გადაბრუნდა და...

ხაფანგმა ჩვენი თაგუნა ცოტა ჩააფიქრა. სანამ თა-
გუნა ფიქრობს, მანამდე ჩვენც ჩავფიქრდეთ: რატომა
აქვს თაგუნას ამდენი გვერდი?

იმიტომ, რომ ზარმაცია. რაც უფრო ზარმაცია,
თაგვი იქნება ეს თუ კატა, კატა იქნება ეს თუ ძაღლი,
მით უფრო მეტი გვერდები აქვს, რათა ერთი გვერდი-
დან მეორეზე გადაბრუნდეს, მეორედან მესამეზე და
ასე შემდეგ. მაგალითად, ერთ ზარმაც ბიჭუნას იმდენი
გვერდი ჰქონდა, რომ ასი წელია ითვლის და აქამდე
ვერ დაუთვლია...

თაგუნას რომელ გვერდზე შეეჩერდით? მეხუთე-
ზე? კეთილი.

თაგუნა მეხუთე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრ-
ძო ოცნება:

— დავინახავ ხაფანგს და ისე ავუვლი გვერდს,
რომ ხაფანგმა ვერაფერი გაიგოს. როცა გაიგებს, უკვე
გვიან იქნება. გვიან როცა იქნება, ხაფანგი გაბრაზდებ-
ბა. ხაფანგი როცა გაბრაზდება, მე უკვე შორს ვიქნები



და ხათანგს აღარავინ ეყოლება დასაჭერი. როცა ხათანგს აღარავინ ეყოლება დასაჭერი, თავის თავს თვითონვე დაიჭერს...

თავუნა ისე გაერთო ოცნებით, რომ მეხუთე გვერდიდან პირდაპირ მეშვიდე გვერდზე გადაბრუნდა. მეექვსე გვერდი გამორჩა.

ხათანგი როცა თავის თავს დაიჭერს, ხმაურზე კატას გამოელვძიება...

კატის ხსენებაზე თავუნას ისე შეეშინდა, რომ მეშვიდე გვერდიდან უკან, მეხუთე გვერდზე გადმობრუნდა. მეექვსე გვერდი ახლაც გამორჩა.

დიდხანს ცდილობდა თავუნა დამშვიდებას და ბოლოს, როგორც იქნა, დაიმშვიდა თავი და გამოტოვებულ მეექვსე გვერდზე გადაბრუნდა:

— არ გაიღვიძებს, კატებს ხომ ზოგჯერ ძილი უფრო უყვართ, ვიდრე გამოღვიძება. რომ გაიღვიძოს, მაშინ რაღა ოცნება გამოვა?!

თავუნამ განაგრძო ოცნება და მერვე გვერდზე გადაბრუნდა:

— კატა არ გაიღვიძებს და მე საკუჭნაოს ბნელ კუთხეში დავინახავ ყველის გამხმარ თეთრ ნაჭერს, რომელსაც გუშინ თვალი მოჰკრა ჩემმა მამაცმა მეზობელმა წრუწუნამ.

თაგუნა მეცხრე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— დავინახავ ყველის გამხმარ თეთრ ნაჭერს და მივუახლოვდები. ამბობენ, ყველის ნაჭერი ახლოდან უფრო დიდია, ვიდრე შორიდანაო.

თაგუნა მეათე გვერდზე გადაბრუნდა და გაიფიქრა:

— თუ გუშინ იქ ეგდო ყველის გამხმარი ნაჭერი, ბუნებრივია, დღესაც იქ არის და, თუ დღესაც იქ არის, რა თქმა უნდა, ხვალაც იქ იქნება...

თაგუნა მეთერთმეტე გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა.

როცა გაიღვიძა ისე ბნელოდა, რომ ეგონა ღამეაო და კვლავ დაიძინა.

როცა კიდევ გაიღვიძა, გაიფიქრა — ჯერ არ გათენებულაო და კვლავ დაიძინა.

კიდევ ერთხელ გაიღვიძა თაგუნამ და კვლავ ღამე იყო. დღე გამომრჩაო, გაიფიქრა და კვლავ დაიძინა.

გვიან მიხვდა ზარმაცი თაგუნა, რომ ღამე კი არ არის ასეთი შავი და ბნელი, არამედ ვიღაცამ ამოავსო მისი ხვრელი.

ახლა მეც არ ვიცი, სძინავს თუ არა თაგუნას.

მე მგონი თვითონაც აღარ იცის საბრალო თაგუნამ, სძინავს თუ არა, ისე ბნელა გარშემო.



მელა მასწავლებელი

ერთმა ქარაფშუტა და უქნარა კრუხმა თავისი შვი-
დი წიწილა მელას მიაბარა აღსაზრდელად. მელიასაც
ეს უნდოდა. წაიყვანა წიწილები სოროში და აღზრდა
დაუწყო.

პირველ წიწილას ექვსამდე ასწავლა თვლა.

მეორეს — ხუთამდე.

მესამეს — ოთხამდე.

მეოთხეს — სამამდე.

მეხუთეს — ორამდე.

მეექვსეს — ერთამდე.

მეშვიდეს კი არაფერი არ ასწავლა, უცოდინარი
დატოვა.

მიდიოდა დრო.

მაგრამ პირველისათვის მხოლოდ ექვსი დღე გავი-
და, მეორისათვის კი გავიდა ხუთი დღე. მან მხოლოდ
ხუთამდე იცოდა თვლა.

მესამემ თვალა, თვალა და ოთხი დღე გამოუვიდა,
იფიქრა, ალბათ ოთხი დღე გავიდაო.

მეოთხისათვის სამჯერ დაღამდა და გათენდა.

მეხუთისთვის ორჯერ ამოვიდა დიდი მზე.

მეექვსისთვის — ერთხელ.

მეშვიდისთვის კი არც ერთი დღე არ გასულა, იგი-
ვე დღე იყო. მეშვიდემ თვლა არ იცოდა და დღეებს,
აბა, როგორ დაითვლიდა?!

მელიას მოშივდა. მოიხზო შვიდივე წიწილა და
სათვალე გაიკეთა. მელა მასწავლებელი გამოცდას
იბარებდა. მას, რასაკვირველია, შეეძლო უგამოცდოდ
გადაესანსლა შვიდივე, მაგრამ არ უნდოდა სხვა კრუ-
ხებისა და წიწილების წინაშე სამართალი გაფუჭებო-
და.

მელამ დაფაზე ამოცანა დაწერა: წიწილებო, დედა-
თქვენმა კრუხმა თქვენი თავი მე მომაბარა აღსაზრდე-
ლად. გაზაფხულზე შვიდნი იყავით. მთელი ზაფხულა



თქვენზე ვზრუნავდი: გაჭმევდით და გახურავდით, ცივ
ნიაფს არ გაკარებდით, გიდარაჯებდით, ტურას არ მო-
ეპარეთ, ქორს არ გაეტაცეთ. მეც თავს ვიკავებდი, არ
გადამესანსლა რომელიმე ურჩი და აბეზარი... და, აჰა,
ყველანი უკლებლივ აქა ხართ!

ამოცანა გვეკითხება: რამდენი წიწილა დარჩით შე-
მოდგომაზე?

— ექვსი, — უპასუხა პირველმა წიწილამ, რომელ-
მაც მხოლოდ ექვსამდე იცოდა თვლა. მელამ არასწო-
რი პასუხისათვის გადასანსლა პირველი წიწილა.

— ახლა? — შეეკითხა მელა მეორე წიწილას.

— ხუთი! — წამოიძახა მეორემ.

— არ არის სწორი! — თქვა მელამ და მეორეც გა-
დასანსლა.

— ოთხი, — უპასუხა მესამემ. ისიც გადასანსლა.

— სამი, — დაუფიქრებლად მიუგო მეოთხემ. მე-
ოთხეც გადასანსლა.

მეხუთემაც ვერ უპასუხა სწორად და ისიც მიაყო-
ლა.

— ერთი დავრჩითო, — ატირდა მეექვსე. მეექვსე
გრძნობდა, რომ მელა არც მას დაინდობდა და ასეც
მოხდა.

დარჩა ნაბოლარა მეშვიდე წიწილა. ის არხეინად
იჭდა სოროს კუთხეში.


— რამდენი დარჩითო? — ჰკითხა მელამ ნაბოლა-
რას.

— არც ერთიო, — უპასუხა მან.

ნაბოლარამ ხომ თვლა არ იცოდა?!

მელას უნდოდა ისიც გადაესანსლა, მაგრამ „რაც
არ იყო“, რას გადასანსლავდა?!

სამაგიეროდ ნაბოლარამ გადასანსლა მელა, რად-
გან უვიცი დატოვეს და ისიც კი არ ასწავლეს, რომ წი-
წილას არ შეუძლია მელა გადასანსლოს.



ს ა რ რ ე ვ ი

მელისა და ტყუილი	8
თეთრი ყვავილი და თეთრი კვავილა	9
უნიკალ ობიექტი	11
ზარმაცის თაბუნას ამბავი	13
მელის მასწავლებელი	18



Эрлом Сергеевич Ахвледiani
Приключения ленивой мышки

Художник ზ. იონიანი
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1971

ს კ ო ლ ა მ დ ე ლ თ ა თ ვ ი ს

რედაქტორი ჯ. ბ ა ჯ ე ლ ი ძ ე
მხატვარი ე. იონიანი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე
კონტროლიორ-კორექტორი ლ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ნ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-70 წ.

ქაღალდის ზომა 70×108¹/₂

ნაბეჭდი თაბახი 1,5

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 0,88

შეკვ. № 6440 ტირაჟი 20.000 ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სახელმწიფო კომიტეტის-მთავარბოლიგრაფმრეწვე-
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5

2. 15/253


წიგნიანობის
სამსახური

